დანართი N1

სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის

შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი და პირობები

(საკონკურსო პირობები)

1. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველი პირი

1.1. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს საქართველოს ან უცხო ქვეყნის რეზიდენტ იურიდიულ პირს, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) დამოუკიდებლად, ან/და მასთან ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირთან ერთად უნდა გააჩნდეს სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის დანერგვის გამოცდილება, კერძოდ, კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ შემოთავაზებული სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის სისტემა დანერგილი უნდა იყოს და უნდა ფუნქციონირებდეს სულ ცოტა 2 ქვეყანაში;

ბ) დამოუკიდებლად, ან/და მასთან ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირთან ერთად, უნდა გააჩნდეს სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ადმინისტრირების გამოცდილება, კერძოდ, კონკურსში მონაწილე პირს ან/და მის დამფუძნებელ კომპანიას, რომლის პირდაპირი ან ირიბი მონაწილეობის წილი არანაკლებ 50%–ია ან/და კონკურსში მონაწილის მიერ დაფუძნებულ კომპანიას, რომელშიც მისი პირდაპირი ან ირიბი მონაწილეობის წილი არანაკლებ 50 %-ია, უნდა გააჩნდეს სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ადმინისტრირების გამოცდილება;

1.2 კონკურსში მონაწილე დამოუკიდებლად, ან/და მასთან ურთიერთდამოკიდებული (აფილირებული) პირი არ უნდა იმყოფებოდეს ლიკვიდაციის ან/და რეორგანიზაციის პროცესში და მისი ან მასთან ურთიერთდამოკიდებული (აფილირებული) პირის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული გაკოტრების/გადახდისუუნარობის საქმე;

1.3. კონკურსში მონაწილეობა ეკრძალება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ პირს ან/და მასთან „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ,,ჰ[33]” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირს.

2. კონკურსის ჩატარების ვადები

2.1. კონკურსი ცხადდება 2026 წლის 22 ივნისიდან;

2.2. კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის საკონკურსო განაცხადის მიღება განხორციელდეს 2026 წლის 25 ივნისის 09 საათიდან 2026 წლის 27 ივლისის 18:00 საათამდე;

2.3. საკონკურსო საბჭოს პირველი სხდომა გაიმართოს 2026 წლის 28 ივლისს 10 :00 საათზე;

2.4. საკონკურსო საბჭოს უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს საბჭოს პირველი სხდომიდან ორი კვირა- 2026 წლის 10 აგვისტო 18:00 საათამდე;

2.5. საკონკურსო წინადადების საკვალიფიკაციო და ტექნიკური დოკუმენტაციის შესწავლა და შესაბამისობის დადასტურება საკონკურსო საბჭოს წევრების მიერ, ხორციელდება საკონკურსო საბჭოს პირველი სხდომის დასრულების შემდგომ, არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ვადაში;

2.6. საკონკურსო საბჭოს დასკვნის მიღებიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ;

3. საკონკურსო განაცხადი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია

3.1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მსურველი პირი კომისიას მიმართავს ქართულ ენაზე შედგენილი საკონკურსო განაცხადით (დანართი N3);

3.2. საკონკურსო განაცხადს თან უნდა დაერთოს:

ა) სათანადო წესით დამოწმებული სარეგისტრაციო/ სადამფუძნებლო (შეთანხმება/წესდება) დოკუმენტაცია ორიგინალ ენაზე;

ბ) კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის ოფიციალური დადასტურება, რომ ის, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, არ არის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული ან/და მასთან ურთიერთდამოკიდებული (აფილირებული) პირი; დადასტურებას თან უნდა ერთოდეს ინფორმაცია კონკურსში მონაწილე პირის ყველა აფილირებული პირებისა და პარტნიორების/აქციონერების შესახებ ინფორმაცია, რომლის საფუძველზე საკონკურსო საბჭოს მიეცემა შესაძლებლობა დაადგინოს პირდაპირ ან ირიბად კომპანიის 20% და მეტი წილის მფლობელი ფიზიკური პირების ვინაობა.

შენიშვნა N1: „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჰ[33]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ურთიერთდამოკიდებულება არის ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირებს შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობა, რომელსაც შეუძლია უშუალო გავლენა მოახდინოს მათ შორის გარიგებების პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე. ასეთ განსაკუთრებულ ურთიერთობებს განეკუთვნება, კერძოდ, ურთიერთობები, რომელთა დროსაც: პირები არიან ერთი საწარმოს დამფუძნებლები (მონაწილეები), თუ მათი ჯამური წილი არანაკლებ 20 პროცენტია; ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირის საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი არანაკლებ 20 პროცენტია; ერთი პირი თანამდებობრივი მდგომარეობით ექვემდებარება მეორე პირს ან ერთ პირს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორე პირი; პირები არიან ფილიალი საწარმოები ან პირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი; პირები ერთად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ მესამე პირს; პირები ნათესავები არიან (ამ კანონის

მიზნებისთვის ნათესავებად ითვლებიან: ოჯახის წევრები, პირდაპირი აღმავალი და დამავალი შტოს ნათესავები, გერი, და და ძმა, აგრეთვე მშობლის და შვილის გერები);

დ) დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს საკონკურსო პირობების 1.1 პუნქტის ა) და ბ) პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

ე) კონკურსში მონაწილე პირის მიერ შემოთავაზებული მონაცემთა ბაზის სისტემის / პროგრამული უზრუნველყოფის საქართველოში დანერგვის უფლების და/ან მწარმოებლისგან მიღებულ წინასწარი თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტი, იმ შემთხვევაში თუ შემოთავაზებული მონაცემთა ბაზის სისტემის / პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელი განსხვავდება კონკურსის მონაწილესგან ;

ვ) დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს საკონკურსო პირობების 1.2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას;

ზ) გამოუთხოვადი და უპირობო საბანკო გარანტია 40,000 (ორმოცი ათას) ლარზე, ან მისი ეკვივალენტის (საბანკო გარანტიის წარმოდგენის დღისთვის არსებული ოფიციალური კურსის მიხედვით) ოდენობით უცხოურ ვალუტაში, რომელიც ძალაში იქნება წარმოდგენიდან 2026 წლის 17 სექტემბრამდე;

საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს საქართველოში ინ კომერციული ბანკის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ გარანტიის გამცემი არ იქნება საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკი, შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას მხოლოდ საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტია, რომლის გამცემ ბანკს რეიტინგი აქვს მინიმუმ „BB " რეიტინგი „Fitch Rating"-ით ან სხვა საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული ექვივალენტური რეიტინგი და დადასტურებული იყოს SWIFT-ით საქართველოს კომერციული ბანკის მიერ;

თ) საკონკურსო წინადადება, რომელიც მოიცავს ტექნიკურ პირობებს მე-4 მუხლის შესაბამისად;

ი) სატარიფო პირობები.

შენიშვნა N2: საკონკურსო პირობების 3.2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკონკურსო პირობების ტექნიკური დოკუმენტაცია ორენოვანია და მისი ერთ-ერთი ვერსია წარმოდგენილია ქართულ ენაზე) დოკუმენტაციას სავალდებულოდ უნდა ერთოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დამოწმებული უნდა იყოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით, თუ შესაბამისი დოკუმენტი საჭიროებს ხელმოწერას ან/და შტამპს. ამასთან, არარეზიდენტი პირის მიერ საკონკურსო პირობების 1.2 და 3.2 პუნქტის „ა", „ბ" და „ვ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული შესაბამისი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ, სათანადო წესით დამოწმებული (აპოსტილით ან ლეგალიზაციის წესით) და უნდა ერთოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

დაუშვებელია ელექტრონული ფორმით წარსადგენი დოკუმენტის, რომელიც საჭიროებს ხელმოწერას ან/და შტამპს, დასკანერებული ასლის სახით წარმოდგენა. ასეთი დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული დოკუმენტის ფორმით და, შესაბამის შემთხვევებში, დამოწმებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.3. საკონკურსო წინადადების ტექნიკური პირობები წარმოდგენილი უნდა იყოს საკვალიფიკაციო დოკუმენტებთან ერთად, დალუქული სახით (დალუქული კონვერტით ან დაშიფრული ელექტრონული ფორმით — ZIP ფაილი პაროლით), ქართულ ან ქართულ/ინგლისურ ენაზე.

ტექნიკური პირობები უნდა მოიცავდეს კონკურსში მონაწილე პირის მიერ შემოთავაზებული მონაცემთა ბაზის სისტემის დეტალურ სპეციფიკაციას, აგრეთვე საკონკურსო პირობების მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ტექნიკურ სპეციფიკაციასთან მისი შესაბამისობის დამადასტურებელ დამატებით დოკუმენტაციას (მათ შორის, მონაცემთა ბაზის სისტემის/პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებლის მიერ გამოცემულ კატალოგებს და სხვა შესაბამის დოკუმენტაციას).

ამასთან, 3.2 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ „ე“, „ვ“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით, აგრეთვე წინამდებარე პუნქტით მოთხოვნილი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს საკონკურსო წინადადების სატარიფო პირობებისგან (3.2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი) ფიზიკურად განცალკევებული ფორმით, იმგვარად, რომ მათი ნახვა და შემოწმება შესაძლებელი იყოს სატარიფო პირობების შემცველი დალუქული კონვერტის ან დაშიფრული ფაილის გახსნის გარეშე.

შენიშვნა N3: დასაშვებია ტექნიკური დოკუმენტაციისა და საკვალიფიკაციო მონაცემების განსხვავებული ფორმატით წარმოდგენა. კერძოდ, ერთ-ერთი მათგანი შეიძლება წარმოდგენილი იყოს მატერიალური სახით დალუქული კონვერტით, ხოლო მეორე — ელექტრონული სახით, პაროლით დაცული (დაშიფრული) ZIP ფაილის სახით.

დოკუმენტაციის განსხვავებული ფორმატით წარმოდგენა არ წარმოადგენს მათი განხილვის განცალკევების საფუძველს. წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციისა და საკვალიფიკაციო მონაცემების გაცნობა, განხილვა და შეფასება განხორციელდება ერთდროულად, ისევე როგორც მათი ერთიანი ფორმით წარმოდგენის შემთხვევაში.

3.4. საკონკურსო წინადადების სატარიფო პირობები, წარმოდგენილი უნდა იყოს ცალკე, დალუქული სახით (დალუქული კონვერტით ან დაშიფრული ელექტრონული ფორმით (ZIP ფაილი პაროლით). იგი, თავის მხრივ, უნდა მოიცავდეს საკონკურსო პირობების დანართი N1-ის შევსებულ ფორმას;

3.5. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ტექნიკური და სატარიფო პირობები ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ. ამავდროულად, საკონკურსო წინადადების ტექნიკური პირობების კონვერტში/ფაილებში მოთავსებული დოკუმენტაცია უნდა იყოს შესაბამისად დანომრილი და აკინძული;

3.6. მატერიალურად წარმოდგენის შემთხვევაში კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ 3.3 და 3.4 პუნქტებით განსაზღვრულ კონვერტებზე უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:

ა) კონკურსის ორგანიზატორის სახელწოდება და იურიდიული მისამართი;

ბ) კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის სახელწოდება და იურიდიული მისამართი;

გ) კონვერტის შიგთავსის აღწერა (სარჩევი) მატერილური სახით წარმოდგენის შემთხვევაში;

3.7. კონკურსში მონაწილეობის მსურველ ან/და მასთან ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირს ერთობლივად ან დამოუკიდებლად უფლება აქვთ, კომისიაში წარმოადგინონ ერთი საკონკურსო განაცხადი;

3.8. კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირს საკონკურსო განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის კომისიაში წარდგენასთან დაკავშირებული ხარჯები არ აუნაზღაურდება;

3.9. საკონკურსო განაცხადისა და ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასება უნდა დასრულდეს არა უმეტეს 10 კალენდარულ დღეში

3.10. საკონკურსო განაცხადების მიღების ვადის ამოწურვის შემდეგ დაუშვებელია საკონკურსო განაცხადის ან მასზე თანდართული დოკუმენტაციის შეცვლა, დაზუსტება ან დამატება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეიცავს გარკვეულ მონაცემ(ებ)ს ან/და შეიცავს უზუსტობას/უზუსტობებს, რომელთა წარდგენა ან დაზუსტება არ გამოიწვევს დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას. ასეთ შემთხვევაში, კონკურსში მონაწილე პირი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოდგენა, მათ შორის „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ურთიერთდამოკიდებული პირის შესახებ ინფორმაცია, მოთხოვნიდან 3 (სამ) სამუშაო დღის ვადაში. დაზუსტებას არ ექვემდებარება ტექნიკურ დოკუმენტაციაში მწარმოებელი/სასაქონლო ნიშანი და მოდელი, ასევე დაუშვებელია ტექნიკურ დოკუმენტაციაში მისათითებელი ფუნქციონალური შესაძლებლობების დამატება, შეცვლა ან გამოკლება. ასევე, დაზუსტებას არ ექვემდებარება 1.2 და 3.2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

3.11. კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირს უფლება აქვს, უარი განაცხადოს კონკურსში მონაწილეობაზე კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე. თუ კონკურსში მონაწილეობის მსურველმა პირმა კონკურსში მონაწილეობაზე უარი საკონკურსო განაცხადების მიღების ვადის ამოწურვამდე განაცხადა, მას წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გარდა საკონკურსო განაცხადისა, მათ შორის საბანკო გარანტია, უკან უბრუნდება. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსში მონაწილეობის მსურველმა პირმა კონკურსში მონაწილეობაზე უარი საკონკურსო განაცხადის მიღების ვადის ამოწურვის შემდეგ განაცხადა, მას დოკუმენტაცია უკან არ უბრუნდება, ხოლო საბანკო გარანტია ექვემდებარება განაღდებას;

3.12.კონკურსში მონაწილე პირს, გარდა კონკურსში გამარჯვებულისა, საბანკო გარანტია უბრუნდება კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;

კონკურსში მონაწილეს საბანკო გარანტია უკან არ უბრუნდება, თუ მის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი ან მასზე თანდართულო დოკუმენტაცია იყო ყალბი;

3.13. კონკურსში გამარჯვებულს საბანკო გარანტია უკან არ უბრუნდება და იგი ექვემდებარება კომისიის მხრიდან განაღდებას, თუ:

ა) კონკურსში გამარჯვებული ვერ წარმოადგენს სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ბაზის სისტემის ადმინისტრირების ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით მოთხოვნილ საბანკო გარანტიას;

ბ) კონკურსში გამარჯვებული პირი უარს იტყვის სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ბაზის სისტემის ადმინისტრირების თაობაზე კომისიასთან ხელშეკრულების გაფორმებაზე;

4. სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ტექნიკური სპეციფიკაცია

4.1. კონკურსში მონაწილე პირის მიერ საკონკურსო წინადადების ტექნიკური პირობით წარმოდგენილი მონაცემთა ბაზის სისტემის სპეციფიკაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

4.1.1. მონაცემთა ბაზის სისტემა უნდა მოემსახუროს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებულ პირებს;

4.1.2. მონაცემთა ბაზის სისტემამ უნდა უზრუნველყოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებულ პირებს შორის შემდეგი სახის სააბონენტო ნომრების პორტირება:

ა) მობილური საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებულ პირებს შორის (არაგეოგრაფიული) სააბონენტო ნომრების პორტირება;

ბ) ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებულ პირებს შორის (გეოგრაფიული/არაგეოგრაფიული VoIP ინტერნეტ პროტოკოლით ხმოვანი სატელეფონო კავშირი) სააბონენტო ნომრების პორტირება, მათ შორის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ერთიდაიგივე გეოგრაფიულ ზონაში შიდა პორტირება;

გ) ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებულ პირებს შორის, რომლებიც მომსახურებას აწვდიან უსადენო შეღწევის, მათ შორის, ფიჭური ორგანიზების ტიპის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით (გეოგრაფიული/არაგეოგრაფიული) სააბონენტო ნომრების პორტირება;

დ) M2M და IoT მომსახურების მიზნით გამოყოფილი ნუმერაციის რესურსის პორტირება:

ე) მონაცემთა ბაზის სისტემამ უნდა უზრუნველყოს არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) ავტორიზებული პირის მომსახურების შესაძლებლობა. ასევე, მონაცემთა ბაზის სისტემას უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა, მონაცემთა ბაზის სისტემის ტექნიკური აღჭურვილობისა და პროგრამული უზრუნველყოფის არსებითად შეცვლის გარეშე, მომსახურება გაუწიოს უფრო მეტი რაოდენობის ავტორიზებულ პირს;

4.1.3. მონაცემთა ბაზის სისტემამ შეუფერხებლად უნდა გაუწიოს ადმინისტრირება ყველა პორტირებულ სააბონენტო ნომერს;

4.1.4. მონაცემთა ბაზის სისტემაში არსებული ინფორმაცია (მომხმარებელთა ინტერფეისი) წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე;

4.1.5. მონაცემთა ბაზის სისტემა უნდა ფუნქციონირებდეს უწყვეტად (დღეში 24 საათი, კვირაში 7 დღე);

4.1.6. მონაცემთა ბაზის სისტემაზე ხელმისაწვდომობის წლიური მაჩვენებელი უნდა იყოს არანაკლებ 99.7%-სა;

4.1.7. მონაცემთა ბაზის სისტემის, ტექნიკური აღჭურვილობისა და პროგრამული უზრუნველყოფის არსებითად შეცვლისა და დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე უნდა გააჩნდეს დამატებითი მოდულების საშუალებით გაფართოების შესაძლებლობა;

4.1.8. მონაცემთა ბაზის სისტემაში უნდა ინახებოდეს ტექნიკური ინფორმაცია, რომელიც საჭიროა დაზიანების/შეცდომის აღმოსაფხვრელი სამუშაოების განსახორციელებლად, ისევე, როგორც პროფილაქტიკური სამუშაოების ჩასატარებლად;

4.2. კონკურსში მონაწილე პირის მიერ საკონკურსო წინადადების ტექნიკური პირობით შემოთავაზებულმა მონაცემთა ბაზის სისტემამ უნდა უზრუნველყოს:

4.2.1. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებულ პირებს შორის ნომრის პორტირების ავტომატიზებული პროცესის ორგანიზება და ეფექტური ადმინისტრირება;

4.2.2. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებული პირების შესაძლებლობა, პერიოდულად (24 საათში ერთხელ მაინც) მიიღონ მონაცემთა ბაზის სისტემიდან ინფორმაცია, რომელიც საჭიროა მონაცემთა ბაზის სისტემაში არსებული ინფორმაციის ავტორიზებულ პირთა მონაცემთა საოპერაციო ბაზასთან სინქრონიზაციისათვის, პორტირებულ სააბონენტო ნომერზე ავტორიზებულ პირთა მონაცემთა საოპერაციო ბაზის გამოყენებით ზარის დამისამართების უზრუნველსაყოფად;

4.2.3. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებული პირების შესაძლებლობა, ნებისმიერ დროს მიიღონ ინფორმაცია კონკრეტული პორტირებული ნომრის შესახებ, ავტორიზებული პირის მონაცემთა საოპერაციო ბაზის მონაცემთა ბაზის სისტემასთან ერთჯერადი, ცალკეული სინქრონიზაციის პრინციპის საშუალებით;

4.3. კონკურსში მონაწილის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ტექნიკური პირობით შემოთავაზებულმა მონაცემთა ბაზის სისტემამ უნდა დანერგოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებულ პირებს შორის სააბონენტო ნომრის პორტირების ალგორითმი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

4.3.1. პორტირების პროცესი უნდა იყოს ცენტრალიზებული;

4.3.2. მონაცემთა ბაზის სისტემამ უნდა დაარეგისტრიროს პორტირების პროცესის ყველა ნაბიჯის პირობები და მათთან შესაბამისობა;

4.4. მონაცემთა ბაზის სისტემის ადმინისტრირების ალგორითმის სახელმძღვანელო წესები:

4.4.1 მიმღებმა ოპერატორმა უნდა შეავსოს ელექტრონული განაცხადი, სადაც განსაზღვრული იქნება შემდეგი მონაცემები:

ა) პორტირების განაცხადის შეტანის თარიღი და საათი;

ბ) პორტირების მსურველი პირის შესახებ ინფორმაცია: ფიზიკური პირის შემთხვევაში - ნომრის პორტირების მსურველი ფიზიკური პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია; იურიდიული პირის შემთხვევაში - ნომრის პორტირების მსურველი იურიდიული პირის

სახელწოდება, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი; საიდენტიფიკაციო კოდი და საკონტაქტო ინფორმაცია;

გ) სააბონენტო ნომერი/ნომრები, რომლის პორტირებასაც ითხოვს პორტირების მსურველი პირი (შეყვანილი უნდა იყოს თითო-თითოდ ან ბლოკებად);

დ) დონორი ოპერატორის სახელწოდება;

ე) მიმღები ოპერატორის სახელწოდება;

ვ) პორტირების განაცხადის მიმღების საკონტაქტო ინფორმაცია;

ზ) პორტირების მსურველი პირის მიერ მითითებული, პორტირების სასურველი დრო;

4.4.2. მონაცემთა ბაზის სისტემამ უნდა უზრუნველყოფს ნომრის პორტირების განაცხადის შემუშავება, აკონტროლოს განაცხადში მითითებული სააბონენტო ნომრის პორტირებისათვის კომისიის 2010 წლის 6 ივლისის N3 დადგენილებით დამტკიცებული „სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის შესახებ“ დებულებით “ (https://matsne.gov.ge/document/view/1030770?publication=0) გათვალისწინებული ვადები, უარყოს ან დაამტკიცოს განაცხადი;

4.4.3 მონაცემთა ბაზის სისტემამ განაცხადის უარყოფის შემთხვევაში უნდა შეატყობინოს მიმღებ ოპერატორს შესაბამისი მიზეზის და/ან შეცდომის შესახებ;

4.4.4 მონაცემთა ბაზის სისტემამ, განაცხადის დამტკიცების შემთხვევაში, უნდა მიანიჭოს შესაბამის განაცხადს „ახალი განაცხადის“ სტატუსი, უზრუნველყოს აღნიშნული განაცხადის შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაგზავნა მიმღებ ოპერატორთან და შესაბამისი შეტყობინების გადაგზავნა დონორ ოპერატორთან, ამასთან, დონორ ოპერატორს მონაცემთა ბაზის სისტემიდან უნდა მიეწოდოს აღნიშნული შეტყობინება ელექტრონული ფოსტის ან მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) საშუალებით.

4.4.5. მონაცემთა ბაზის სისტემამ უნდა მიანიჭოს უნიკალური ნომერი ყოველ ახალ განაცხადს;

4.4.6. დონორმა ოპერატორმა, ნომრის პორტირების შესახებ განაცხადის მიღებისას, უნდა შეავსოს მისთვის განკუთვნილი შესაბამისი გრაფები, დაამტკიცოს ან უარყოს აბონენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის სისწორე და ამგვარის არსებობის შემთხვევაში, პორტირებაზე უარის თქმის შემთხვევაში მიუთითოს კომისიის 2010 წლის 6 ივლისის N3 დადგენილებით დამტკიცებული „სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის შესახებ“ დებულებით განსაზღვრული საფუძვლები ;

4.4.7. მონაცემთა ბაზის სისტემამ უნდა შეინახოს დონორის მიერ შეყვანილი მონაცემები, მიანიჭოს განაცხადს „განხილულის“ სტატუსი და აცნობოს ამის შესახებ მიმღებ ოპერატორს;

4.4.8. მიმღებმა ოპერატორმა „განხილული“ განაცხადის გახსნისას უნდა დაინახოს დონორი ოპერატორის მიერ შეყვანილი ინფორმაცია და დაადასტუროს ან უარყოს პორტირების პროცესი;

4.4.9. ნომრის პორტირებაზე თანხმობის შემთხვევაში:

ა) მონაცემთა ბაზის სისტემამ განაცხადს უნდა მიანიჭოს „დამტკიცებულის“ სტატუსი;

ბ) მონაცემთა ბაზის სისტემამ დონორსა და მიმღებ ოპერატორებს (ისევე, როგორც მონაცემთა ცენტრალურ ბაზასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ოპერატორს) უნდა გაუგზავნოს შესაბამისი შეტყობინება, სააბონენტო ნომრის პორტირების დღისა და საათის შესახებ;

გ) დონორმა ოპერატორმა უნდა განახორციელოს სააბონენტო ნომრის დეაქტივაცია ბაზის სისტემის მიერ განსაზღვრულ დროს და გაუგზავნოს მონაცემთა ბაზის სისტემას შეტყობინება სააბონენტო ნომრის დეაქტივაციის შესახებ;

დ) მიმღებმა ოპერატორმა უნდა განახორციელოს სააბონენტო ნომრის აქტივაცია მონაცემთა ბაზის სისტემის მიერ განსაზღვრულ დროს და გაუგზავნოს მონაცემთა ბაზის სისტემას შეტყობინება სააბონენტო ნომრის აქტივაციის შესახებ.

ე) მონაცემთა ბაზის სისტემამ განაცხადს უნდა მიანიჭოს „გააქტიურებული“ განაცხადის სტატუსი და უნდა შეიყვანოს ინფორმაცია პორტირებული სააბონენტო ნომრების შესახებ მონაცემთა ბაზის სისტემაში, რაც საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ პორტირებული ნომრის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდეს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებული პირებისათვის.

4.5. კონკურსში მონაწილის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ტექნიკური პირობით შემოთავაზებული მონაცემთა ბაზის სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ფუნქციურ მოთხოვნებს:

4.5.1. მონაცემთა ბაზის სისტემამ უნდა შეინახოს:

ა) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებულ პირებზე გაცემული სააბონენტო ნომრების შესახებ ინფორმაცია;

ბ) პორტირებული სააბონენტო ნომრების შესახებ ინფორმაცია;

გ) ადმინისტრატორთან არსებული, მათ შორის, მისთვის როგორც კომისიის, ასევე, დონორი და მიმღები ოპერატორების მიერ გადაცემული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი ელექტრონული

საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებული პირების ქსელში იყო და არის ჩართული სააბონენტო ნომერი;

დ) სააბონენტო ნომრის პორტირების პროცედურის ჩანაწერები (ყველა შესაბამისი ინფორმაცია);

ე) რამდენჯერ მოხდა სააბონენტო ნომრის პორტირება;

4.5.2. მონაცემთა ბაზის სისტემაში შენახული ინფორმაცია, რომელიც ეხება კონკრეტული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებულ პირს, ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხოლოდ ამ კონკრეტული ავტორიზებული პირისთვის;

4.5.3 მონაცემთა ბაზის სისტემას უნდა გააჩნდეს შენახული ინფორმაციის ყველა მახასიათებლის ცალკეული ნაწილების შესაბამისად მოძიების საშუალება;

4.5.4 მონაცემთა ბაზის სისტემამ უნდა უზრუნველყოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებული პირების შესაძლებლობა, მართონ მათთვის ხელმისაწვდომი მონაცემები (გაფილტრონ ან/და დააჯგუფონ ინფორმაცია), შეიმუშაონ სტატისტიკური ანგარიშები, გამოიყენონ სააბონენტო ნომრის პორტირებასთან დაკავშირებული მონაცემები;

4.5.5 მონაცემთა ბაზის სისტემამ უნდა უზრუნველყოს მონაცემების ელექტრონულ ფორმატში მიღების შესაძლებლობა;

4.5.6 მონაცემთა ბაზის სისტემამ უნდა უზრუნველყოს დონორი და მიმღები ოპერატორების შესაძლებლობა, დაინახონ ნომრის პორტირებასთან დაკავშირებული მთელი პროცესი (განაცხადის მიღების, მისი სტატუსის შეცვლისა და ყველა სხვა საჭირო ინფორმაციის ჩათვლით);

4.6. მონაცემთა ბაზის სისტემამ უნდა უზრუნველყოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებული პირების შესაძლებლობა, მიიღონ შემდეგი სახის ინფორმაცია:

4.6.1. მონაცემთა ბაზის სისტემაში განხორციელებული ცვლილებები;

4.6.2. მონაცემთა ბაზის სისტემის მუშაობის ცდომილებები, დაზიანება და აღდგენა;

4.6.3. სხვა შეტყობინებები;

4.6.4. მონაცემთა ბაზის სისტემამ უნდა უზრუნველყოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებული ერთი პირის მიერ ნუმერაციის რესურსის ნაწილობრივ დათმობის შემთხვევაში, სააბონენტო ნომრების შეუფერხებელი გაწერა ამ ნუმერაციის რესურსის მსურველი სხვა ოპერატორის ქსელზე;

4.7. კონკურსში მონაწილე პირის მიერ საკონკურსო წინადადების ტექნიკური პირობებით შემოთავაზებული მონაცემთა ბაზის სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების შემდეგ მოთხოვნებს:

4.7.1. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებული პირების მონაცემთა ბაზის სისტემაზე დაშვების უფლების კონტროლი უნდა განხორციელდეს მონაცემთა ბაზის სისტემის დონეზე;

4.7.2. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებული პირების დაშვების უფლება უნდა შეიზღუდოს მონაცემთა ბაზის სისტემის მართვის სისტემით;

4.7.3. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებული პირების დაშვებასთან დაკავშირებული უფლებების ადმინისტრირება უნდა განხორციელდეს მონაცემთა ბაზის სისტემის ადმინისტრატორის მიერ;

4.7.4. მონაცემთა ბაზის სისტემასთან დაკავშირება უნდა განხორციელდეს კოდირებული არხით;

4.7.5. მონაცემთა ბაზის სისტემას უნდა შეეძლოს შესთავაზოს ოპერატორებს დაშვების/დაკავშირების რამდენიმე გზა, დაცული ელექტრონული ხელმოწერის საშუალებით დაკავშირების ჩათვლით, რომელიც ცალსახად აიდენტიფიცირებს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებულ პირებს და უზრუნველყოფს არსებული საშუალებით მიწოდებული ინფორმაციის უტყუარობას; ადმინისტრატორი პასუხისმგებელი უნდა იყოს შეთავაზებული საშუალებების უსაფრთხოებაზე;

4.7.6. მონაცემთა ბაზის სისტემის რეზერვირება უნდა ხდებოდეს მინიმუმ 24 საათში ერთხელ;

4.7.7. მონაცემთა ბაზის სისტემა უნდა იყოს განთავსებული და ექსპლუატაციაში მოქცეული შემდეგი ალტერნატიული არქიტექტურული გადაწყვეტებიდან ერთ-ერთის შესაბამისად:

ა) მონაცემთა ბაზის სისტემა განთავსებული უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე მინიმუმ ორ ფიზიკურ მონაცემთა დამუშავების ცენტრში (ფიზიკურ სერვერზე), რომლებიც ერთმანეთისგან მდებარეობენ სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონაში, ამასთან, მონაცემთა ბაზის სისტემის სარეზერვო ასლი უნდა ინახებოდეს ძირითადი მონაცემთა ბაზის სისტემის განთავსების ადგილიდან არანაკლებ 1 კილომეტრის დაშორებით;

ბ) მონაცემთა ბაზის სისტემა განთავსებული უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ მინიმუმ ორ ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ქლაუდ ინფრასტრუქტურაზე (Cloud service provider), რომლებიც უზრუნველყოფენ ერთმანეთისგან ლოგიკურად და ფიზიკურად განცალკევებულ ინფრასტრუქტურას.

4.8. დამატებითი პირობები და მასთან თანდართული დოკუმენტაცია:

4.8.1. კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია, საკონკურსო განაცხადთან ერთად წარმოადგინოს ოფიციალური დასტური და ტექნიკური დოკუმენტაცია იმის თაობაზე, რომ შემოთავაზებული მონაცემთა ბაზის სისტემა თავსებადია და/ან უზრუნველყოფილი იქნება შემოთავაზებული მონაცემთა ბაზის სისტემის თავსებადობა ავტორიზებული პირების მიერ უკვე დანერგილ და ამჟამად მოქმედ სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა საოპერაციო ბაზებთან, კერძოდ, რომ მოდიფიცირება არ დასჭირდება ავტორიზებული პირების სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა საოპერაციო ბაზების ინტერფეისს (ავტორიზებული პირების უკვე დანერგილ და კონკურსში გამარჯვებულ სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა საოპერაციო ბაზებს შორის დაკავშირება FTP ან SOAP ინტერფეისით, მონაცემთა მიმოცვლა XML ფორმატის მეშვეობით სასურველია არ შეიცვალოს);

4.8.2. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსში მონაწილე პირის მიერ შემოთავაზებული მონაცემთა ბაზის სისტემის თავსებადობის უზრუნველყოფა ავტორიზებული პირების მიერ უკვე დანერგილ სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა საოპერაციო ბაზებთან საჭიროებს ავტორიზებული პირების მხრიდან დამატებით არსებით დანახარჯებს, კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირისაგან საკონკურსო განაცხადდთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი დასტური იმის თაობაზე, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში პირი უზრუნველყოფს ამგვარი არსებითი ხარჯების დაფარვას. აღნიშნული არსებითი დანახარჯები მოიცავს:

ა) ინტერფეისის მოდიფიცირებასთან დაკავშირებულ ფინანსურ დანახარჯებს (თუ ასეთი დანახარჯების გაწევა იქნა საჭირო);

ბ) ტექნიკური პერსონალის სწავლებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, კერძოდ ექსპერტების ანაზღაურებას, არაუმეტეს 5 კაც/დღისა თითოეული ავტორიზებული პირისათვის;

გ) მომხმარებელთა მომსახურების პერსონალის სწავლებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, კერძოდ ექსპერტების ანაზღაურებას, არაუმეტეს 5 კაც/დღისა თითოეული ავტორიზებული პირისათვის;

დ) ავტორიზებული პირების სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა საოპერაციო ბაზების ტესტირების პროცესთან დაკავშირებულ დანახარჯებს, არაუმეტეს 20 კაც/დღისა თითოეული ავტორიზებული პირისათვის.

4.9. მონაცემთა ბაზის სისტემის ტექნიკური ცენტრი (შემდგომში „ტექნიკური ცენტრი“) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

4.9.1. ტექნიკური ცენტრის პერსონალი ხელმისაწვდომი უნდა იყოს 24 საათის განმავლობაში, კვირაში 7 დღე;

4.9.2. ტექნიკური ცენტრის ნაგებობა უნდა შეესაბამებოდეს სეისმოლოგიურ მოთხოვნებს;

4.9.3. ტექნიკური ცენტრი არ შეიძლება იყოს განთავსებული შენობის სარდაფში, ნახევარსარდაფში ან/და სხვენში;

4.9.4. ტექნიკური ცენტრის შენობა განთავსებული უნდა იყოს საქართველოში;

4.9.5. ტექნიკური ცენტრის გარე და შიდა პერიმეტრი უნდა კონტროლდებოდეს ვიდეოკამერით, 24 საათის განმავლობაში. ვიდეოჩანაწერი უნდა ინახებოდეს სულ ცოტა ერთი კალენდარული თვის განმავლობაში;

4.9.6. ტექნიკური ცენტრის განთავსების ადგილი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხანძარსაწინააღმდეგო პირობებით;

4.9.7. ტექნიკურ ცენტრს უნდა გააჩნდეს სისტემის ტემპერატურისა და კონდიცირების უზრუნველმყოფი დუბლირებული მოწყობილობა, რომელიც 24 საათისა და კვირაში 7 დღის განმავლობაში, უზრუნველყოფს ტემპერატურის შემდეგ პარამეტრებს:

ა. ტემპერატურა: 20°C - 25°C;

ბ. ტენიანობა: 40%-55%

4.9.8. ტექნიკურ ცენტრს არ უნდა გააჩნდეს ექსტერიერზე გამავალი ფანჯრები;

4.9.9. ტექნიკურის ცენტრის ელექტრომომარაგება უზრუნველყოფილი უნდა იყოს სხვადასხვა ქვესადგურებიდან შემომავალი ორი დამოუკიდებელი ელექტროსადენით;

4.9.10. ტექნიკურ ცენტრში დამონტაჟებული უნდა იყოს ელექტროენერგიის უწყვეტი მომარაგების (UPS) დუბლირებული მოწყობილობა. UPS-ი დამატებით დუბლირებული უნდა იყოს დიზელ-გენერატორით, რომელიც UPS-ზე ორჯერ უფრო მძლავრი უნდა იყოს;

4.9.11. ტექნიკურ ცენტრს უნდა გააჩნდეს ელექტროენერგიის ავტომატური ავარიული გამორთვისა და ელექტროენერგიის ერთი წყაროდან მეორეზე ავტომატური გადართვის შესაძლებლობა;

4.9.12. ტექნიკურ ცენტრში შესვლა უნდა წარმოებდეს შეზღუდულად, შემსვლელ პირთა სავალდებულო რეგისტრაციის საფუძველზე.

5. საკონკურსო წინადადების სატარიფო პირობები

5.1. კონკურსში მონაწილე პირის მიერ საკონკურსო წინადადების სატარიფო პირობები წარმოდგენილი უნდა იყოს საკონკურსო პირობების დანართი N1-ის შევსებული ფორმით, პორტირების მომსახურებისათვის განსაზღვრული ფიქსირებული წლიური საფასურის სახით, რომელიც უნდა მოიცავდეს მონაცემთა ბაზის სისტემის დანერგვასა და ადმინისტრირებასთან (პორტირების პროცესის უზრუნველყოფა) დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საიდანაც:

ა) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებული პირების მონაცემთა საოპერაციო ბაზების სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ბაზის სისტემასთან სინქრონიზაციის მომსახურების საფასური შეადგენს მთლიანი თანხის 2%-ს;

ბ) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებული პირების, სააბონენტო ნომრების პორტირების პროცესის უზრუნველყოფის მომსახურების საფასური შეადგენს მთლიანი თანხის 98%-ს;

გ) პორტირების მომსახურებისათვის განსაზღვრული ფიქსირებული წლიური საფასური უნდა გადანაწილდეს ავტორიზებულ პირებზე კომისიის 2010 წლის 6 ივლისის N3 დადგენილებით დამტკიცებული „სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის შესახებ“ დებულების მე–10 მუხლის „თ" ქვეპუნქტით განსაზღვრული ფორმულის შესაბამისად.

5.2. საკონკურსო წინადადებით შემოთავაზებული სატარიფო პირობები (პორტირების მომსახურებისათვის განსაზღვრული ფიქსირებული წლიური საფასური) წარმოდგენილი უნდა იყოს ევროში, დღგ-ს გარეშე და არ უნდა აღემატებოდეს 245 999,000.00 (ორას ორმოცდახუთი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი) ევროს;

6. სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ბაზის სისტემის ადმინისტრატორის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი

6.1 საკონკურსო განაცხადის წარდგენის წესი:

6.1.1. კონკურსში მონაწილეობის მიზნით საკონკურსო განაცხადების წარდგენა ხორციელდება ერთ-ერთი შემდეგი ფორმით:

ა) მატერიალური ფორმით - იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №59/ლეხ კაჩინსკის ქუჩა №4 (ყოფილი: ქ თბილისი. 0144, ქეთევან დედოფლის/ბოჭორმის ქუჩა N 50/18);

ბ) ელექტრონული ფორმით - დაშიფრული ელექტრონული ფაილების (ZIP არქივი, პაროლით დაცული) სახით ელექტრონულ მისამართზე post@comcom.ge:

6.1.2. მატერიალური ფორმით წარდგენის შემთხვევაში, საკონკურსო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ორი კონვერტის სახით, რომელთაგან თითოეული შეიცავს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) I კონვერტი - განაცხადი, საკვალიფიკაციო და ტექნიკური დოკუმენტაცია

ბ) II კონვერტი - ფინანსური წინადადება;

6.1.3. ელექტრონული ფორმით წარდგენის შემთხვევაში, საკონკურსო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ორ დამოუკიდებელ დაშიფრულ ელექტრონულ ფაილად (ZIP არქივის სახით), რომელთაგან თითოეული შეიცავს შემდეგ დოკუმენტაციას:

I ფაილი - განაცხადი, საკვალიფიკაციო წინადადება და ტექნიკური წინადადება

(იმ შემთხვევაში თუ დაშიფრული სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციის მოცულობამ გადააჭარბა 10 მეგაბაიტს, დოკუმენტაცია შეიძლება იყოს წარმოდგენილი რამდენიმე ფაილის სახით, რომლებიც იქნება დაშიფრული ერთი და იგივე პაროლით)

II ფაილი - ფინანსური წინადადება;

თითოეული ფაილი უნდა იყოს დამოუკიდებლად დაშიფრული და დაცული ინდივიდუალური პაროლით;

ელექტრონული ფოსტით წარმოდგენილი წერილების, რომლებითაც წარდგენილი იქნება საკონკურსო ფაილები, დანიშნულების („Subject“) ველში მითითებული უნდა იყოს: „პორტირების კონკურსში მონაწილეობისთვის წარმოდგენილი ფაილები“, ხოლო წერილის ტექსტში - წარმდგენი ორგანიზაციის დასახელება და წარმოდგენილი ფაილების დანიშნულება: ა) განაცხადი, საკვალიფიკაციო წინადადება და ტექნიკური წინადადება ; ბ) ფინანსური წინადადება;

ელექტრონულად წარდგენილი თითოეული ფაილის შესაბამისი დაშიფვრის გასაღები/პაროლი მონაწილემ უნდა გამოაგზავნოს ცალკე ელექტრონულ შეტყობინებაში მისამართზე: konkursi@comcom.ge , რომელიც წარმოადგენს შეზღუდული წვდომის მქონე ელექტრონულ ფოსტას და უზრუნველყოფს ყველა წვდომისა და მოქმედების აღრიცხვას (audit log);

6.2. I ფაილის დაშიფვრის გასაღებები/პაროლები უნდა გაიგზავნოს საკონკურსო საბჭოს შესაბამისი სხდომის დაწყებამდე ან მისი მუშაობის დაწყებისთანავე **2026 წლის 28 ივლისს** 10:00 თბილისის დროით საათზე __(Georgian time, UTC +4);

6.3. II ფაილის დაშიფვრის გასაღებები/პაროლები უნდა გაიგზავნოს საკონკურსო საბჭოს შესაბამისი სხდომის დაწყებამდე ან მისი მუშაობის დაწყებისთანავე **2026 წლის 07 აგვისტოს** , თბილისის დროით 10:00___ საათზე (Georgian ime, UTC +4);

6.4 დაშიფრული ფაილის წვდომის გასაღები ელექტრონული ფოსტით ეგზავენება საკონკურსო საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც საბჭოს მუშაობის პერიოდში უზიარებს საკონკურსო საბჭოს წევრებს;

6.5 დაშირული ფაილის წვდომის გასაღების წარმოუდგენლობა დისკვალიფიკაციის საფუძველია;

6.6. კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის საკონკურსო განაცხადის მიღებას უზრუნველყოფს კომისიის აპარატის ადმინისტრაცია;

6.7. სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ბაზის სისტემის ადმინისტრატორის შესარჩევ კონკურსი ტარდება კომისიის 2010 წლის 6 ივლისის N3 დადგენილებით დამტკიცებული „სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის შესახებ“ დებულებითა და წინამდებარე წესით განსაზღვრული პირობების დაცვით და ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული საკონკურსო საბჭოს მიერ;

6.8 საკონკურსო საბჭოს წევრთათვის სამუშაო პირობების უზრუნველყოფის მიზნით კომისია გამოყოფს საამისოდ სპეციალურად მოწყობილ, საკონკურსო საბჭოს სამუშაო ოთახს. საკონკურსო საბჭოს სხდომა ჩატარდება დისტანციურად ან შერეულ რეჟიმში ვიდეო საკონფერენციო სისტემის მეშვეობით. კომისიის აპარატის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საკონკურსო საბჭოს სხდომათა აუდიო ან/და აუდიოვიდეო ჩაწერას და სხდომის ოქმის მომზადებას;

6.9. საკონკურსო საბჭოს წევრები ვალდებულნი არიან, საკონკურსო საბჭოს მუშაობის დასრულებამდე არ გაახმაურონ ინფორმაცია, რაც მათთვის ცნობილი გახდა საკონკურსო საბჭოს წევრობისას, არ გადაიღონ ასლები, არ გააკეთონ ჩანაწერები წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე, არ დააზიანონ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, არ დაარღვიონ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მთლიანობა;

6.10 საკონკურსო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება 9 წევრი მაინც, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრით, არანაკლებ 7 ხმით. იმ შემთხვევაში, თუ საკონკურსო საბჭოში მოწვეულ წევრთაგან რომელიმე ვერ ესწრება საკონკურსო საბჭოს სხდომას, ავტორიზებული პირი ვალდებულია ჩაანაცვლოს იგი სხვა წარმომადგენლით, რომელსაც უფლებამოსილება ენიჭება ამ ავტორიზებული პირის ოფიციალური წერილით;

6.11. საკონკურსო საბჭო უფლებამოსილია მოიწვიოს შესაბამისი ტექნიკური სპეციალისტი ხმის უფლების გარეშე ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასებისთვის;

6.12. საკონკურსო საბჭოს გადაწყვეტილებები და შეფასების მონაცემები აისახება საკონკურსო საბჭოს დასკვნაში;

6.13. საკონკურსო საბჭოს პირველი სხდომა მოიწვევა ამ საკონკურსო პირობების შესაბამისად. აღნიშნულ სხდომას შეიძლება დაესწროს კონკურსში მონაწილე პირი, რის თაობაზეც მან განაცხადის წარდგენისას უნდა წარმოადგინოს საკონტაქტო პირის შესახებ სრული ინფორმაცია. შემდგომ სხდომებს იწვევს საკონკურსო საბჭოს თავმჯდომარე.

6.14. საკონკურსო საბჭოს პირველ სხდომაზე, საკონკურსო საბჭოს თავმჯდომარე კონკურსში მონაწილეებს აცნობს საკონკურსო საბჭოს შემადგენლობას, ადგენს საკონკურსო საბჭოს კვორუმის არსებობას და კონკურსში მონაწილეებს აცნობს საკონკურსო საბჭოს მუშაობის წესს;

6.15. საკონკურსო საბჭოს სხდომაზე საკონკურსო საბჭოს მდივანი საკონკურსო საბჭოს წევრებს აცნობს ინფორმაციას კონკურსში მონაწილეთა თაობაზე;

6.16. სხდომაზე საკონკურსო საბჭოს თავმჯდომარე ამოწმებს წარმოდგენილ დოკუმენტაციის არსებობას და შემოწმების შედეგს აცნობს სხდომის მონაწილეებს.

6.17. კონკურსში მონაწილეთა შეფასება შედგება ორი ეტაპისგან:

პირველ ეტაპი - დგინდება, თუ რამდენად სრულყოფილად არის წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია; ასევე დგინდება ტექნიკური სპეციფიკაციების შესაბამისობა საკონკურსო პირობებით დადგენილ მოთხოვნებთან;

მეორე ეტაპი - დგინდება საკონკურსო წინადადების სატარიფო პირობების შესაბამისობა საკონკურსო პირობებით დადგენილ მოთხოვნებთან.

კონკურსში მონაწილის შეფასების ორივე ეტაპზე საკონკურსო საბჭო უფლებამოსილია დაადგინოს დისკვალიფიკაციის საფუძვლები საკონკურსო პირობების შესაბამისად.

6.18. კონკურსში მონაწილე ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ:

6.18.1. საკონკურსო განაცხადი წარმოდგენილია პირის მიერ, რომელსაც არ აქვს კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება საკონკურსო პირობების პირველი პუნქტის შესაბამისად;

6.18.2. საკონკურსო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია არასრულყოფილად არის წარმოდგენილი, ან არ არის დადასტურებული კონკურსში მონაწილე პირის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით;

6.18.3. საკონკურსო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული ფორმით;

6.18.4. არ არის წარმოდგენილი საკონკურსო პირობების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

6.18.5. წარმოდგენილია ყალბი (არასწორი) ინფორმაცია;

6.18.6. ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება მოთხოვნილ პირობებს;

6.18.7 შემოთავაზებული თანხა აღემატება 5.2 პუნქტში მითითებულ თანხას;

6.19. კონკურსში მონაწილე პირებს ეძლევა საშუალება საკონკურსო საბჭოს მოთხოვნის შემთხვევაში დააზუსტოს წარმოდგენილი დოკუმენტები იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეიცავს გარკვეულ მონაცემ(ებ)ს ან/და შეიცავს უზუსტობას/უზუსტობებს, რომელთა წარდგენა ან დაზუსტება არ გამოიწვევს დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას. დაზუსტებას არ ექვემდებარება 1.2

და 3.2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. . დაზუსტებული ინფორმაციის წარმოუდგენლობა დისკვალიფიკაციის საფუძველია;

შენიშვნა 4 : საკონკურსო საბჭოს მიერ, საკვალიფიკაციო და ტექნიკური წინადადების შესწავლის პერიოდში, მოთხოვნილი საკვალიფიკაციო და ტექნიკური წინადადების დაზუსტების ინფორმაცია/დოკუმენტაცია, კონკურსანტის მიერ უნდა იქნას წარმოდგენილი 3 სამუშაო დღის განმავლობაში;

6.20. საკონკურსო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში მონაწილე პირის დისკვალიფიკაციის თაობაზე ღია კენჭისყრით, რაც აისახება საკონკურსო საბჭოს დასკვნაში;

6.21. საკონკურსო პირობებით დადგენილი ფორმის შესაბამისად (საკონკურსო პირობების დანართი №2), საკონკურსო საბჭოს წევრები ინდივიდუალურად, წერილობით, აფიქსირებენ დისკვალიფიკაციის კონკრეტულ მიზეზებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით, და გადასცემენ საკონკურსო საბჭოს მდივანს;

6.22. კონკურსში მონაწილე ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, წარმოდგენილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია არ არის სრულყოფილი, ასევე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ტექნიკური სპეციფიკაცია არ შეესაბამება საკონკურსო პირობების მე–4 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

6.23. საკონკურსო საბჭოს თითოეული წევრი ინდივიდუალურად, წერილობით ადგენს კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური სპეციფიკაციების შესაბამისობას საკონკურსო პირობებით დადგენილ მოთხოვნებთან, საკონკურსო პირობებით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად (საკონკურსო პირობების დანართი №2) და ხელმოწერით დასტურდება საბჭოს წევრის მიერ და გადაეცემა საკონკურსო საბჭოს მდივანს.

დისკვალიფიკაციის საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, საკონკურსო საბჭოს შესაბამისი წევრი აღნიშნულ ფორმაში ინდივიდუალურად, წერილობით აფიქსირებს დისკვალიფიკაციის კონკრეტულ მიზეზებს. დისკვალიფიკაციის საკითხზე საკონკურსო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, რაც აისახება საკონკურსო საბჭოს სხდომის ოქმში.

იმ შემთხვევაში, თუ საკონკურსო საბჭოს მიერ არ მიიღება გადაწყვეტილება დისკვალიფიკაციის შესახებ, კონკურსში მონაწილე პირი ითვლება კონკურსის შემდგომ ეტაპზე დაშვებულად;

6.24. საკონკურსო საბჭოს თითოეული წევრი ადგენს ტექნიკური სპეციფიკაციების შესაბამისობას;

6.25. საკონკურსო განაცხადისა და ტექნიკური სპეციფიკაციების შესაბამისობის დადასტურების შემდგომ, კონკურსში მონაწილე პირთა თანდასწრებით, იხსნება შემდგომ ეტაპზე გადასულ პირთა საკონკურსო წინადადების სატარიფო პირობების დახურული კონვერტები/დაშიფრული ელექტრონული ფაილები (საკონკურსო პირობის 6.1 პუნქტში წარმოდგენილი წესის მიხედვით), საკონკურსო განაცხადების კომისიაში რეგისტრაციის თარიღისა და ნომრის რიგითობის მიხედვით და სატარიფო პირობების საკონკურსო წინადადებები საკონკურსო საბჭოს თავჯდომარის მიერ ცხადდება სხდომაზე. კონკურსში მონაწილეთა საკონკურსო საბჭოს სხდომაზე დასწრება უზრუნველყოფილია როგორც ადგილზე, ისე დისტანციურად;

6.26. საკონკურსო წინადადების შეფასების ძირითადი კრიტერიუმია საკონკურსო წინადადების სატარიფო პირობები და კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდება კონკურსში მონაწილე ის პირი, რომელიც წარმოადგენს პორტირების მონაცემთა ცენტრალური ბაზის დანერგვისა და მისი

ადმინისტრირებისთვის განსაზღვრულ ფიქსირებული წლიური საფასურის ყველაზე ნაკლებ ოდენობას;

6.27. საკონკურსო წინადადების სატარიფო პირობების დახურული კონვერტების/ დაშიფრული ფაილების გახსნის შემდგომ, საკონკურსო საბჭოს წევრები ინდივიდუალურად, წერილობით აფასებენ საკონკურსო წინადადების სატარიფო პირობების შესაბამისობას საკონკურსო პირობებთან. თუ საკონკურსო საბჭო გამოავლენს დისკვალიფიკაციის საფუძვლებს, საბჭო უფლებამოსილია, კონკურსში მონაწილის დისკვალიფიკაციის თაობაზე მიიღოს გადაწყვეტილება;

6.28. საკონკურსო საბჭოს დასკვნას, რომელიც სრულად უნდა ასახავდეს კონკურსში მონაწილე პირთა შეფასების შედეგებს, ხელს აწერს საკონკურსო საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი. ხელმოწერილი დასკვნა წარედგინება კომუნიკაციების კომისიას;

6.29. საკონკურსო საბჭოს დასკვნა ქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.comcom.ge);

6.30. საკონკურსო საბჭოს დასკვნა ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება;

7. სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ბაზის სისტემის ადმინისტრატორის შესარჩევ კონკურსში გამარჯვებულის ვალდებულებები

7.1. სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ბაზის სისტემის ადმინისტრატორის შესარჩევ კონკურსში გამარჯვებულ პირთან, კომისია, კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 30 სამუშაო დღისა, აფორმებს სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ბაზის სისტემის ადმინისტრირების თაობაზე ხელშეკრულებას;

7.2. კომისია კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის კონკურსში გამარჯვებულს კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებას ან მის დამოწმებულ ასლს, სადაც სავალდებულო წესით განისაზღვრება:

7.2.1. საკონკურსო პირობების 7.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების გაფორმების ბოლო თარიღი;

7.2.2. ხელშეკრულების გაფორმებისა და მონაცემთა ბაზის სისტემის დანერგვის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენის ბოლო ვადა;

7.2.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, რომელიც განისაზღვრება კონკურსში გამარჯვებულთან ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2032 წლის 2 აპრილის ჩათვლით;

7.2.4. ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში ადმინისტრატორისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოების ოდენობას:

ა) არასაპატიო მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ადმინისტრატორისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობას, რომელიც შეადგენს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 20%;. (პატივსადებად ჩაითვლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლით განსაზღვრული გარემოებები);

ბ) მონაცემთა ბაზის სისტემის შექმნისთვის განსაზღვრული ვადის გადაცილებისთვის და მონაცემთა ბაზის სისტემის ტესტირებისთვის განსაზღვრული ვალდებულებათა შესრულების ვადის გადაცილებისათვის - ყოველი გადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.5% ოდენობით;

გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში - საანგარიშო თვის მთლიანი შემოსავლის (საქართველოში, NPCDB სისტემის ადმინისტრირების ფარგლებში მიღებული შემოსავლის) (დღგ–ს ჩათვლით) 0.1% ოდენობით, ვალდებულების შეუსრულებლობის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

შენიშვნა 5 : ,,სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის შესახებ" დებულების' მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, კომისია უფლებამოსილია ხელშეკრულების პირობების უხეში და სისტემატური დარღვევის შემთხვევაში, როცა კონტრაჰენტი მხარის მიმართ უკვე გამოყენებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, გაუწყვიტოს ხელშეკრულება ადმინისტრატორს, რის თაობაზეც 3 თვით ადრე აგზავნის წერილობით შეტყობინებას. წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან 10 კალენდარული დღის ვადაში კომისია აცხადებს ახალი ადმინისტრატორის შესარჩევ კონკურსს.

7.3. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია, კომისიის მიერ საკონკურსო პირობის 7.2.2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინოს სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ბაზის სისტემის ადმინისტრირების ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოში მოქმედი ბანკის მიერ გაცემული გამოუთხოვადი და უპირობო 8-თვიანი საბანკო გარანტია, რომლის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში პორტირების მომსახურების სრული საფასურის 5 (ხუთი) პროცენტით, საბანკო გარანტიის წარმოდგენის დღისთვის არსებული ოფიციალური კურსის მიხედვით; საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ გარანტიის გამცემი არ იქნება საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკი, შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას მხოლოდ საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტია, რომლის გამცემ ბანკს რეიტინგი აქვს მინიმუმ „BB " რეიტინგი „Fitch Rating"-ით ან სხვა საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული ექვივალენტური რეიტინგი და დადასტურებული იყოს SWIFT-ით საქართველოს კომერციული ბანკის მიერ.

7.4. კონკურსში გამარჯვებულის მიერ საკონკურსო პირობის 7.3 პუნქტით განსაზღვრული საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში კომისია უგზავნის კონკურსში გამარჯვებულს 7.1 პუნქტით განსაზღვრულ ხელშეკრულების პროექტს;

7.5. საკონკურსო პირობის 7.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების ხელმოწერა უნდა განხორციელდეს ამავე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე კონკურსში გამარჯვებულთან 7.1 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში გამარჯვებულის მიზეზით არ გაფორმდა ხელშეკრულება, კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ცნობისა და კონკურსის შედეგების გაუქმების თაობაზე; ამ შემთხვევაში, 7.3 პუნქტით განსაზღვრული საბანკო გარანტია ექვემდებარება კომისიის მხრიდან განაღდებას;

7.6. საკონკურსო პირობის 7.5 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაშიც, თუ კონკურსში გამარჯვებული ამ პუნქტით განსაზღვრულ ვადაში ვერ წარმოადგენს 7.3 პუნქტით გათვალისწინებულ საბანკო გარანტიას;

7.7. საკონკურსო პირობის 7.5 და 7.6 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში კონკურსში გამარჯვებულს არ წარმოეშვება კომპენსაციის/ზიანი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება;

7.8. სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ბაზის სისტემის ადმინისტრირების თაობაზე ხელშეკრულებაში, სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ბაზის სისტემის ადმინისტრატორის ვალდებულებებად განისაზღვრება შემდეგი სახელშეკრულებო პირობები:

7.8.1. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა საქართველოს ტერიტორიაზე (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა); ხოლო „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიაზე მომსახურების გაწევა უზრუნველყოს შესაბამისი პირობების დადგომისთანავე;

7.8.2. უზრუნველყოს მონაცემთა ბაზის სისტემის შექმნა, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს ექვსი თვის განმავლობაში.

7.8.3. „პორტირების მონაცემთა ბაზის შექმნის, პორტირების სისტემის გამართვისა და ყველა ოპერატორებთან ფიზიკური შეერთების დასრულების შემდგომ, მონაცემთა ბაზის სისტემის ტესტირება უნდა განხორციელდეს 2027 წლის 23 თებერვლიდან 2027 წლის 19 მარტის ჩათვლით.“

7.8.4. საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი საფასურის მოთხოვნისა და ავტორიზებული პირების მიერ უკვე დანერგილ სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა საოპერაციო ბაზებსა და ცენტრალურ ბაზას შორის დაკავშირების ინტერფეისის შეცვლის გარეშე, უზრუნველყოს შემდეგი სახის სააბონენტო ნომრების პორტაბელურობა:

ა) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებულ პირებს შორის ინტელექტუალური ქსელებით მომსახურებისათვის განკუთვნილი სააბონენტო (არაგეოგრაფიული) ნომრების პორტირება;

ბ) მობილური საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებულ პირებსა და ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებულ პირებს შორის სააბონენტო ნომრების პორტირება;

7.9. შეიმუშავოს სააბონენტო ნომრების პორტირებისა და მონაცემთა ბაზის სისტემის გამოყენების ტექნიკური ინსტრუქციები;

7.10.უზრუნველყოს მონაცემთა ბაზის სისტემის გამართული მუშაობა;

7.11. თავისი საქმიანობა განახორციელოს გამჭვირვალედ, უზრუნველყოს მონაცემთა ბაზის სისტემის გამოყენების სამართლებრივი, ტექნიკური და ეკონომიკური პირობების გამჭვირვალობა;

7.12. ყოველწლიურად, საანგარიშო წლის მომდევნო წლის 2 აპრილამდე კომისიას წარუდგინოს წლიური ანგარიში, ფინანსური ანგარიშის ჩათვლით;

7.13. კომისიის მოთხოვნის საფუძველზე, დაუყონებლივ, და/ან კომისიის მიერ დადგენილი პერიოდულობითა და ვადებში, მიაწოდოს მონაცემთა ბაზის სისტემაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია;

7.14. მომსახურება გაუწიოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებულ პირებს, კომისიის 2010 წლის 6 ივლისის N3 დადგენილებით დამტკიცებული „სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის შესახებ“ დებულებით, სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის

ადმინისტრატორის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით, კომისიასთან და ავტორიზებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობებით და მის მიერ საკონკურსო წინადადებით შემოთავაზებული ტარიფებით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში;

7.15. შეასრულოს კომისიის მიერ განსაზღვრული სხვა პირობები;

საკონკურსო პირობების დანართი N1

საკონკურსო წინადადების სატარიფო პირობები

1. კონკურსში მონაწილის სახელწოდება:

2. კონკურსში მონაწილის უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი (ხელმომწერი პირი):

_____

3. ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ შემოთავაზებული პორტირების მომსახურებისათვის განსაზღვრული ფიქსირებული წლიური საფასური მოცემულია ევროში, დღგ-ს გარეშე აკმაყოფილებს კომისიის 2010 წლის 6 ივლისის N3 დადგენილებით დამტკიცებული „სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის შესახებ“ დებულებითა და საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შეადგენს_____ (ციფრებით) _____ (სიტყვიერად) ევროს ოდენობით

_____ _____

(ხელმომწერის სახელი და გვარი) (ხელმოწერა)

საკონკურსო პირობების დანართი N2

კონკურსში მონაწილის შეფასების ფორმა

საკონკურსო საბჭოს წევრის სახელი და გვარი:

_____ონკურსში
მონაწილის სახელწოდება:
_____

შეფასების პირველი ეტაპი: ☐
შეფასების მეორე ეტაპი: ☐

N	კონკურსში მონაწილის შეფასება	საკონკურსო საბჭოს წევრის განმარტება
1.	სრულყოფილად არის წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია ☐ კი ☐ არა	
2.	ტექნიკური სპეციფიკაციები შესაბამისობაშია საკონკურსო პირობებით დადგენილ მოთხოვნებთან ☐ კი ☐ არა	
3.	საკონკურსო წინადადების სატარიფო პირობები შესაბამისობაშია საკონკურსო პირობებით დადგენილ მოთხოვნებთან ☐ კი ☐ არა	
4.	დისკვალიფიკაციის მიზეზების ჩამონათვალი შეფასების ყოველი ეტაპისთვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში.	

_____ _____

(ხელისმომწერის სახელი და გვარი)

(ხელმოწერა თარიღი)

დანართი №3

საკონკურსო განაცხადის ფორმა

ვის: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

ვისგან: _____

საკონტაქტო ინფორმაცია: ელ. ფოსტა, მისამართი, ტელეფონის ნომერი

საგანი: სააბონენტო ნომრის პორტაბელობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ადმინისტრატორის შესარჩევი კონკურსში მონაწილეობის შესახებ განაცხადი

თარიღი: _____ 2026 წ.

წინამდებარე განაცხადით, _____ (შემდგომში – აპლიკანტი) გამოთქვამს სურვილს, მონაწილეობა მიიღოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2026 წლის _____ გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცხადებულ სააბონენტო ნომრების პორტაბელობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ადმინისტრატორის შესარჩევ კონკურსში.

აპლიკანტი საკონკურსო განაცხადთან ერთად წარმოადგენს კომისიის 2026 წლის _____ გადაწყვეტილების დანართ №1-ით განსაზღვრული საკონკურსო პირობების შესაბამისად მომზადებულ საკონკურსო დოკუმენტაციას, მათ შორის ტექნიკურ და სატარიფო წინადადებებს.

კერძოდ, წარმოდგენილია ორი (2) ერთმანეთისგან დამოუკიდებელი დალუქული კონვერტის ან დაშიფრული ფაილის სახით:

1. პირველი დალუქული კონვერტი / დაშიფრული ფაილი (საკვალიფიკაციო და ტექნიკური დოკუმენტაცია):

ა) აპლიკანტის სათანადო წესით დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაცია;

ბ) აპლიკანტის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ოფიციალური დადასტურება იმისა, რომ აპლიკანტი, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, არ არის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული ან/და მასთან ურთიერთდამოკიდებული (აფილირებული) პირი; დადასტურებას თან უნდა ერთოდეს ინფორმაცია კონკურსში მონაწილე პირის ყველა აფილირებული პირებისა და პარტნიორების/აქციონერების შესახებ, რითაც დგინდება კომპანიის პირდაპირი ან ირიბი მფლობელები, მათ შორის იმ ფიზიკური პირების ვინაობა, რომლებიც ფლობენ კომპანიის 20 პროცენტს ან მეტ წილს.

დ) აპლიკანტის (დამოუკიდებლად ან/და აფილირებულ პირთან ერთად) გამოცდილება სააბონენტო ნომრების პორტაბელობის ცენტრალური მონაცემთა ბაზის დანერგვასა და ადმინისტრირებაში, რაც

დასტურდება შესაბამისი სარეკომენდაციო წერილებით (სისტემის დანერგვისა და ფუნქციონირების შესახებ მითითებულ ქვეყნებში);

ე) აპლიკანტის მიერ შემოთავაზებული მონაცემთა ბაზის სისტემის/პროგრამული უზრუნველყოფის საქართველოში დანერგვის უფლების ან მწარმოებლის წინასწარი თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) დადასტურება იმისა, რომ აპლიკანტი (ან/და მისი აფილირებული პირი) არ იმყოფება ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის პროცესში და მის მიმართ არ არის აღძრული გაკოტრების/გადახდისუუნარობის საქმე;

ზ) საბანკო გარანტია 40,000 (ორმოცი ათასი) ლარის ოდენობით ან მისი ეკვივალენტი უცხოურ ვალუტაში (გაცემის დღის ოფიციალური კურსის შესაბამისად);

თ) ტექნიკური დოკუმენტაცია.

2. მეორე დალუქული კონვერტი / დაშიფრული ფაილი:

სატარიფო წინადადება (სატარიფო პირობები).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი საკონკურსო პირობებით დადგენილი წესის შესაბამისად.

ხელმოწერა:

_____

სახელი, გვარი / დასახელება: _

_____